


საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნიკოლოზ მარსაგიშვილის
 მოსამართლეობის კანდიდატის _____ შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	16	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქვევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: გოგა კიკილაშვილი

ხელმოწერა:



თარიღი: 22/07/2024წ.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

არამოსამართლე წევრი

გოგა კვიციანი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ნიკოლოზ მარსაგიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

- 1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- 1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 02 ივლისის N1/53 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა **ნიკოლოზ მარსაგიშვილი** (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.
- 1.4. „კანონის“ 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 18 ივლისს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35¹ მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 16 წელია.

- ✓ 1999-2003 წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონულ პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე;
- ✓ 2003-2004 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საგამომიებო სამმართველოს გამომძიებელი;
- ✓ 2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის აღმოსავლეთის საგამომიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე;
- ✓ 2005 წელს იყო მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების უფროსი;
- ✓ 2005-2006 წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონული პროკურორის თანამდებობაზე;
- ✓ 2006-2007 წლებში მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში, განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე;
- ✓ 2007-2008 წლებში იყო შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი;
- ✓ 2008-2017 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და, ამავე დროს, დაკისრებული ჰქონდა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, დაინიშნა გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ; 2017 წლის მაისიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით ასევე იყო გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 24 მაისის №1/63 გადაწყვეტილებით, ამავე წლის 3 ივნისიდან განწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, თანამდებობაზე დაინიშნა უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის №1/131 გადაწყვეტილებით, 2019 წლის 24 ივნისიდან დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ;
- ✓ 2019-2020 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ივლისის განკარგულებით, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ;
- ✓ 2020 წლის 18 მარტიდან 2024 წლის 18 მარტამდე იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ხოლო 2020 წლის 30 ოქტომბრიდან 2024 წლის 18 მარტამდე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;

- ✓ 2024 წლის 24 მარტიდან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ახალი ვადით არჩეულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრისა და მდივნის თანამდებობაზე.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის სამართლიანობის გრძნობას, მაღალ მორალურ და ზნეობრივ თვისებებს, კეთილსინდისიერებას, გულსხმბიერებასა და კოლეგიალურობას.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია ინფორმაცია მისი სამოსამართლო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად საქმიანობის შესახებ. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი. „კანდიდატის“ საკუთრებად რეგისტრირებულია: მიწის ნაკვეთი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, გუდაური, 400 კვ.მ; მიწის ნაკვეთი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი აჩხოტი, 835 კვ.მ; ავტოფარები - თბილისი, 19,5 კვ.მ.. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ არ უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

2.1.6. იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდში მოსამართლე ნიკოლოზ მარსაგიშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილების დანართი №20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მითითებულ პერიოდში მასზე საქმეების განაწილება არ მომხდარა.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ 5 საქმეზე გამოტანილი განაჩენი, რომელთა შესწავლით შედეგად ზოგიერთ შემთხვევაში გამოიკვეთა პუნქტუაციური ხასიათის ხარვეზები.

გადაწყვეტილებებში პრაქტიკულად არ არის გამოყენებული სამეცნიერო წყაროები, არგუმენტაციის გასამყარებლად უპირატესად მომველიებულია მოსამართლის თავისუფალი მსჯელობა. „კანდიდატის“ ზეპირი კომუნიკაციისა და სამართლებრივი მსჯელობის დახვეწილი უნარები ბუნებრივად ზრდის სტანდარტს და მოლოდინებს

მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსობრივი მხარის მიმართ და ვისურვებდი ამ კომპონენტის შევსებას.

2.1.8. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სასწავლო ხასიათის ღონისძიებებში (მაგ: სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთან განხილვასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრა, სისხლის სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა და ა.შ.).

2.1.9. „კანდიდატს“ 2007 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.10. კანდიდატი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.1.12. „კანდიდატი“ 2008 წლის 28 მაისს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.youtube.com/watch?v=WpJJ-dzcVH8>

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „საბჭოს“ წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. ერთეულ, იშვიათ შემთხვევებში გამოვლინდა უმნიშვნელო ხარვეზები. მაგ. თაღლითობის და მოტყუებით დადებული გარიგების გამოიკვინის თაობაზე მსჯელობის დროს ვისურვებდი, მსჯელობა ყოფილიყო უფრო დეტალური მოტყუებით დადებული გარიგების მიზანთან დაკავშირებით.

მსჯელობის დროს „კანდიდატმა“ მოიშველია რეალური საქმეები, ასევე მოახდინა საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი და ფაქტობრივი პრობლემების იდენტიფიცირება, განზოგადება და შეფასება, რითიც თვალსაჩინოდ წარმოაჩინა საკითხის არსი და საკუთარი პოზიცია.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ე) ფინანსური ვალდებულება.¹

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, თუ შემფასებლის წინაშე არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმფციის გაქარწყლებისთვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის² ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნევ შემდეგი:

3.2.1. „კანდიდატი“, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძობით სამსახურებრივი თუ არასამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას, მაგ. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დროულად შევსება და ა.შ..

მონაცემთა ანალიზის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ კეთილსინდისიერება, პატიოსნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სამართლისმოყვარეობა „კანდიდატის“ დამახასიათებელი თვისებებია.

მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ³ „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

3.2.2. „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებლით შეფასების დროს მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი არის მტკიცე ნებისყოფის, დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, რომლისთვისაც სირთულეს არ წარმოადგენს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების

¹ მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.

² იხ. წინამდებარე შეფასების მე 2 პუნქტი.

³ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-4 პუნქტით.

მიღება, ავლენს მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნების თვისებებს. სამოსამართლო საქმიანობის გარდა ასრულებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის უადრესად საპასუხისმგებლო თანამდებობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს.

მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით⁴ - **„დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“** გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.2.3. „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებლით შეფასების დროს უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი გამოირჩევა პროფესიული ეთიკის განუხრელი დაცვით, კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. მისი ქცევა სრულად შეესაბამება მოსამართლის თანამდებობის მიმართ არსებულ სტანდარტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ⁵ **„პიროვნული და პროფესიული ქცევის“** მახასიათებელს.

3.2.4. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **„პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“** კეთილსინდისიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ „კანდიდატი“ სარგებლობს გამორჩეულად მაღალი ავტორიტეტით იურიდიულ წრეებში, აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია. მონაცემების ანალიზის შედეგად არ იკვეთება გარემოება, რომელიც შეიძლება იყოს ასეთი შეფასებისგან განსხვავებული შეხედულების ქონის წინაპირობა.

მოპოვებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის შედეგები მაძლევეს საშუალებას მივიჩნიო, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ⁶ **„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“** მახასიათებელს.

3.2.5. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **„ფინანსური ვალდებულების“** კომპონენტის შეფასების დროს მოხდა „კანდიდატის“ შემოსავლის წყაროს და ოდენობის, მის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული აქტივების, ასევე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასება, რის შედეგად,

⁴ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-5 პუნქტით.

⁵ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-6 პუნქტით.

⁶ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-7 პუნქტით.

მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ⁷ „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

3.2.6. იქიდან გამომდინარე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების ყველა კომპონენტს, ვაკეთებ დასკვნას, რომ „კანდიდატი“ **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მიეღვი შემდეგ დასკვნამდე:

4.1.1. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლის ნორმების ცოდნა“⁸ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატის“ მიერ გაცემული პასუხების⁹ ხარვეზების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტში „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.2. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია“¹⁰ მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი, რაც გამოვლინდა როგორც მოსმენის დროს „კანდიდატის“ მსჯელობისას, ასევე პროფესიულ საქმიანობაში. შეფასების დროს მოსმენის შედეგებთან ერთად გავითვალისწინე მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილება და მოსამართლის

⁷ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-8 პუნქტით.

⁸ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

⁹ იხ. წინამდებარე შეფასების 2.2.2 პუნქტი.

¹⁰ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მახასიათებლები¹¹ და მივედი დასკვნამდე, რომ „კანდიდატის“ მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.3. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „წერის უნარი“¹² მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.

„კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად¹³ მივედი დასკვნამდე, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, ჩანს ანალიტიკური უნარები. ფიქსირდება უმნიშვნელო ხარვეზები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დოქტრინალური განმარტების წყაროა, ვისურვებდი, მსჯელობა იყოს უფრო ფართო, მეტად გაჯერებული ქართული, თუ საერთაშორისო პრაქტიკის და სამეცნიერო წყაროების ანალიზით, იმგვარად, რომ შენარჩუნდეს გადაწყვეტილების ტექსტის სიმარტივე და აქტუალობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „კანდიდატს“ „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით ვაფასებ 18 ქულით.

4.1.4. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“¹⁴ მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.

„კანდიდატი“ აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, მეტყველებს გამართულად, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ავლენს მიმდებლობას განსხვავებული აზრის მიმართ. საუბრის ტემპი არის მშვიდი და თანაბარი, თანამოსაუბრესთან ამყარებს აქტიურ მხედველობით კონტაქტს, რაც ადვილს და კომფორტულს ხდის „კანდიდატთან“ კომუნიკაციას.

„ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.5. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“¹⁵

¹¹ იხ. წინამდებარე შეფასების 2.1.7. პუნქტი.

¹² კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

¹³ იხ. წინამდებარე შეფასების 2.1.7. პუნქტი.

¹⁴ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

¹⁵ კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 15 ქულით.

შესწავლილი მონაცემების საფუძველზე ვაკეთებ დასკვნას, რომ „კანდიდატი“ არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული, აქვს კარგი მენეჯერული უნარები, გამოირჩევა საქმისადმი სათანადო პასუხისმგებლობით. აქვს მრავალწლიანი სამოსამართლო და „საბჭოს“ მდივნის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

სასამართლო დარბაზში მისი ქცევა არის დადგენილი სტანდარტების შესაბამისი, სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, მუშაობს დამოუკიდებლად, და ორგანიზებულად, სტრესულ პირობებშიც არის პროდუქტიული.

„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმში „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ინტენსიურად მონაწილეობს და ავლენს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის მიმართ დიდ ინტერესს, სრულნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ მაქსიმალური 5 ქულით.

4.1.7. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმში „პროფესიული აქტივობა“ ამავე „კანონის“ 35¹ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ არის „საბჭოს“ მდივანი, შესაბამისად იგი ყოველდღიურ რეალობაში აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ მაქსიმალური 5 ქულით.

4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 92 ქულით.

ხელმოწერა:



თარიღი: 28/07/2024 წ.